სტუ - ს არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

2017 წელს აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიები

1.„არქიტექტურა ძალაუფლების სამსახურში“

პროფესორი ნინო იმნაძე, არქიტექტორი ლუკა ხვიბლიანი

ანოტაცია

განხილული მასალის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ისტორიაში, მის ყოველ ეპოქაში ძალაუფლებას, სხვადასხვა ფორმით გავლენა ჰქონდა არქიტექტურაზე. ეს ფორმათა ტიპები დამოკიდებული იყო როგორც ეპოქაზე, ასევე სახელმწიფო წყობილებაზე, ხალხთა აღმსარებლობასა და მსოფლმხედველობაზე. არქიტექტურა, თითქოსდა ძალაუფლების მუდმივ სამსახურშია და ამ ორ მცნებას ერთმანეთთან უწყვეტი კავშირი გააჩნია. არქიტექტურა ხომ ძალაუფლების ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს თავისი დიდების აღსანიშნავად. ხუროთმოძღვრება ძალაუფლებაში მემატიანის, მთხრობელის როლსაც თამაშობს, როდესაც საქმე ისტორიას და დროს ეხება. აქაც იგი შეუცვლელი ხელსაწყოა, რომელიც საუკეთესოდ და რაც ყველაზე მთავარია სანდოდ გადმოსცემს ძალაუფლების სათქმელს დროსა და სივრცეში, რადგან არქიტექტურა არ ამბობს ტყუილს. თუ განვიხილავთ ძალაუფლებას როგორც იძულების წყაროს, აიძულოს ადამიანი, მისი გონება პირად მოთხოვნილებებსა თუ კერძო მოტივებზე დაყრდნობით შექმნას არქიტექტურა, დაგვებადება კითხვა: გასჩენია თუ არა ადამიანს სურვილი შეექმნა არქიტექტურა არა ვიღაცის ან საკუთარი თავის იძულებით, გამოწვეული ფიზიკური, ზნეობრივი, სულიერი ან იდეური მოთხოვნილებით, არამედ საკუთარი შინაგანი ძალის კარნახით, რომელსაც არ ექნებოდა არანაირი იძულებითი მოთხოვნილების წინაპირობა. მაშასადამე იგი იქნებოდა უბრალოდ - არქიტექტურა. ეს საფუძველს იძლევა დავბადოთ კიდევ ერთი, უპასუხო კითხვა: არის თუ არა არქიტექტურა ძალაუფლების გარეშე?

ჟურნალი „განათლება“;თბ. 2017, №. 1(17) გვ.303 – 309; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, კოსტავას 77

2. “მწვანე სარეკრეაციო სივრცეების პროექტირებისა და მშენებლობის უცხოური გამოცდილება”

პროფესორი თ. მახარაშვილი, არქიტექტორი გ. ხელაძე

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია უცხოური გამოცდილების როგორც მასშტაბური, ასევე ლოკალური, წარმატებული პროექტები. აქვე განხილულია გადაწყვეტების სტრატეგიული მნიშვნელობები, რისი საშუალებითაც განვითარებულმა ქვეყნებმა შეძლეს ლანდშაფტურ- არქიტექტურული ამოცანების გადაწყვეტა ისე, რომ ხელი შეუწყვეს ქვეყნის როგორც ეკოლოგიურ, ასევე ეკონომიკურ განვითარებას. უცხოეთის პრაქტიკამ აჩვენა, რომ პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა უფრო წარმატებულ შედეგებს იძლევა, ვიდრე პრობლემის ერთი კონკრეტული მიმართულებით გადაწყვეტა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზი და სიღრმისეული გააზრება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანეში ღია გამწვანებული სივრცეების სწორი მიმართულებით განვითარებას.

სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი მშენებლობა 1(44), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, მ. კოსტავას 68, თბილისი 2017

3. “ტურიზმის განვითარების პერსპექტივები კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე დასახლებებში (უშგულის თემის მაგალითზე)”.

პროფ. თინათინ ჩიგოგიძე, არქიტექტორი შ. გელაშვილი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ზემო სვანეთის, უშგულის თემის ეთნო-კულტურისა და ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნების მიზნით და ტურიზმის განვითარების პერსპექტივით ქმედითი ნაბიჯების აუცილებლობა, რომელიც გამოიხატება ძეგლების ადაპტაცია, რესტავრაციაში, მიწათსარგებლობის საკითხების კველვასა და რეგულირების გეგმების დამუშავებაში.

„მშენებლობა“. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი, თბილისი, 2017, №1(44), გვ. 82-85, ISSN 1512-3936; 0175, თბ. კოსტავას 77; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4.,,ფორმათწარმოქმნის თანამედროვე პარადიგმა"

პროფესორი ზურაბ კიკნაძე, არქიტექორი თამარ ტაბატაძე

ანოტაცია

სამყაროს ფრაქტალური მოწყობის პრინციპის გაგება დღეისათვის ღრმად იჭრება საქმიანობის მრავალ სფეროში, მათ შორის, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო ობიექტების გარესახის ფორმირებაში ასევე მათ შინაგან სტრუქტურულ ორგანიზაციაში. ქვეცნობიერის როლის მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად ემპირიულიდან თეორიული განზოგადებისკენ მიმართული ვექტორის - მეცნიერებიდან პრაქტიკისკენ შემობრუნებას უნდა ემსახურებოდეს ყველა მეთოდოლოგიურად გამართული სასწავლო პროგრამა. ფრაქტალური არქიტექტურულს პროპედევტიკაც სწორედ ამ პინციპს უნდა ემყარებოდეს.

ჟურნალი ,, მშენებლობა“ სამეცნიერო -ტექნიკური N 2 (45) 2017წ. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი 2017

5. “კონტრურბანიზაციის პროცესზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორები“

ქ.სალუქვაძე, ნ.კოპალიანი, თ.ბიძინაშვილი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია კონტრურბანიზაციის, როგორც შეუქცევადი პროცესის გამომწვევი მიზეზები და მისი აქტუალობის საკითხები. ფართოს წარმოდგენილია კალვინ ბეილის მოსაზრება მონოგრაფიიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ პირველად ქვეყნის ისტორიაში სოფლის დასახლება იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ქალაქის. უფრო მეტიც, ეს ზრდა განპირობებული იყო ქალაქიდან სოფელში სუფთა შიდა მიგრაციის ზრდის შედეგად, რომელიც კომპლექსურია და ასევე განხილულია ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორი; დასაქმების დეცენტრალიზაცია, სოფლის ცხოვრების მოდერნიზაცია, მოსახლეობის დაბერება, სოფლად ცხოვრებისთვის უპირატესობის მინიჭება.ეს ფაქტორები კონტრურბანიზაციის სათავეში დგას.კონტრურბანიზაციის პროცესის საერთო არგუმენტი არის ის, რომ კავშირი განვითარებასა და ურბანიზაციას შორის სუსტდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა მიაღწევს განვითარების მაღალ დონეს. ამის შემდეგ, პირობები ურბანულ და არაურბანულ ადგილებში თანაბარი ხდება და ის სტრუქტურული ასპექტები, რომლებიც განაპირობებს ურბანულ კონცენტრაციას შესაძლებელია დაძლეულ იქნას ტელეკომუნიკაციის, ყოველდღიური გადაადგილებისა და სხვა ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების საშუალებით, რაც დიდ მანძილზე ურთიერთკავშირისა და მოქმედების საშუალებას იძლევა.

სტუ-ი საქართველოს საინჟინრო აკადემია ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში 1-2 2017 წელი 186გვ-189გვ

6. "სახელმწიფოს როლი ეკო კატასტროფების რეგულირებასა და პრევენციაში"

ქ.სალუქვაძე, თ.ბიძინაშვილი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ეკოლოგიურ გარემოში არსებული პრობლემების რეგულირების ხერხები, როგორ რეაგირებს სხვადასხვა სახელმწიფო და რაზე ამახვილებს ყურადღებას, როგორ მუშაობენ არქიტექტორები და დიზაინერები მმართველ ორგაონებთან ერთად ეკოგარემოს გაუმჯობესებაზე, რა მაგალითებს გვაძლევენ განვითარებული ქვეყნები ეკო და ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავებისას, რაც მოიცავს უსფრთხო გარემოს შექმნას, პრესარეაბილიტაციო სამუშაოებს,დაზარალებული რეგიონების მოსახლეობის უზრუნველყოფას საჭირო რესურსებით და ა.შ. მათ მაგალითზე განხილულია საქართველოს დღევანდელობა, მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, რაც მოუწოდებს სახელმწიფოს უფრო მეტად გააქტიურებაზე და უსაფრთხოების მიზნით რეფორმების ჩატარებაზე. არქიტექტურის ეკოლოგიზაცია ერთ-ერთი პრიორიტეტია, საჭიროა საქართველოში ეკოარქიტექტურის დანერგვა, საზოგადოების ონლაინ აპლიკაციებით, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვით უფრო მეტად გააქტიურება და გარემოზე ერთობლივი ზრუნვა.

სტუ-ი საქართველოს საინჟინრო აკადემია ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში# 3, 2017 წ.38გვ-40გვ.

7."არქიტექტურული სინთეზი და მისი მნიშვნელობა "ფასადური არქიტექტურა თბილისის მაგალითზე "

ქ. სალუქვაძე, თ ბიძინაშვილი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ქალაქ თბილისის მაგალითზე XIX საუკუნიდან დღემდე ფასადის ოსტორიის ცვლილება, მისი მნიშვნელობა ქალაქის საერთო იერსახეში. კულტურული მნიშვნელობის ძეგლები და გასულ საუკუნესი აგრბული მნიშვნელოვანი სენობების გარკვეული ნაწილი, რომელებიც ქმნის ქალაქის ხასიათს არქიტექტურული სინთეზს და მის მნიშვნელობას.

სტუ-ს საქართველოს საინჟინრო აკადემია ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში # 3 2017 წ.41-43გვ.

8. „ამერიკის სოფლის სკოლა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სივრცე"

ქ. სალუქვაძე, თ. იძინაშვილი, ნ. კოპალიანი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ამერიკის სოფლის სკოლა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, ბოლო წლების განმავლობაში ამერიკის სოფლის სკოლები წინ უსწრებს ქალაქის სკოლებს მიღწევებისა და გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლების მხრივ. 2004 წელს 10 მილიონზე მეტმა მოსწვალემ დაამთავრა სოფლის სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში.სკოლა არის საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც

უზრუნველყოფს განათლების მიცემას სოფლის მაცხოვრებლებისთვის. ყველა სოფლის მაცხოვრებელს აქვს კავშირი განათლების სისტემასთან. სკოლა ხელს უწყობს ურთიერთობების განმტკიცებას მოსწავლეს, მასწავლებელსა და თემის წევრებს შორის. ვინაიდან სოფლის სკოლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა მცირეა ქალაქთან შედარებით, ეს კიდევ უფრო მეტად განაპირობებს ახლო და მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სტუ-ი საქართველოს საინჟინრო აკადემია ბიზნეს-ინჟინერინგი - ყოველკვარტალური რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი მშენებლობაში, 1-2 2017 წელი, 109გვ-111გვ

9."საზოგადოებრივი ცნობიერების ეკოლოგიზაცია"

პროფესორი გიორგი სალუქვაძე

სტატიაში საუბარია ბუნების მიმართ თანამედროვე დამოკიდებულების ნორმებისა და ზნეობრივი პრინციპების შეცვლაზე, ადამიანის სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

სამეცნიერო-ტექნიკულ ჟურნალი „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები" N7.2017

2016 წელს აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიები

1. სატრანსპორტო ქსელი და საქართველოს მთიანეთის განსახლების პრობლემები.

პროფესორი თ. მახარაშვილი;

ანოტაცია

ქვეყნის მთიანი რაიონის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციებს ენიჭებათ, ამასთან, ეს რაიონები რთული ბუნებრივი კლიმატური პირობების გამო განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩებიან დაბლობ რაიონებს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში აუცილებელი ხდება მთის რაიონის მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის- ჰიდროენერგორესურსების, სამთამადნო, სასოფლო-სამეურნეო, სამთო ტურიზმის, დასვენსბისა და სპორტის განვითარება.

არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #6, გვ. 41-47; 2016 ISSN 2233-3266; (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი)

2."ამერიკული არქიტექტურა, გენეზისი",
პროფესორი მ.დავითაია,

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ამერიკული არქიტექტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები. ამერიკული არქიტექტურა საკმაოდ რთული მოვლენაა, როგორც თავად ამერიკული ერია მრავალნაციონალური, ასეთივეა მისი არქიტექტურაც - სხვადასხვა არქიტექტურული სტილების ნაზავი. ის ეკლეკტიკურია, განსაკუთრებული სტილია,

რომელიც გვთავაზობს ხუროთმოძღვრული ფორმების კოქტეილს. სტატია მიმოხილვითი ხასიათისაა და გვთავაზობს აშშ-ს ტერიტორიაზე მცხოვრებ ინდიელთა კულტურას, კოლონიალურ პერიოდს (XVI ს.-1775 წ.), XVIII საუკუნეში ემიგრანტების მიერ შემოტანილი ტრადიციებისა და ადგილობრივი თავისებურებების ნაზავით შექმნილ არქიტექტურას – გოთიკური ცვლის რომანულს, ბერძნულს, ბაროკალურს, მოდერნს, ნეოკლასიკურს და ა.შ. XIX საუკუნის ბოლოდან იწყება ცათამბრჯენების მშენებლობა, XX ს. დასაწყისიდან კი ბატონობს ფუნქციონალური სტილი. XX ს-ში ამერიკაში გავრცელდა დეკონსტრუქტივიზმი და სტატიაში წარმოდგენილია არქიტექტორები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ მიმართულების დამკვიდრებაში.

სტუ-ს ჟურნალი „განათლება“ N 1(15), გვ.240-246, 2016 წ.

3. „სტივენ ჰოლის ფენომენოლოგიური არქიტექტურა“

პროფესორი მ.დავითაია;

ანოტაცია

არქიტექტორის, თეორეტიკოსის და მხატვრის სტივენ ჰოლის არქიტექტურას ხშირად „ფენომენოლოგიურს“ უწოდებენ. ეს არის არქიტექტურა, რომელიც სივრცეში ადამიანის მოძრაობას და მრავალშრიან ექსპერიმენტში მის ჩაძირვას ითვალისწინებს, სადაც სივრცე, სინათლე, ფერი, გეომეტრია, სურნელი, ბგერა,ზედაპირები და მასალა გადაიკვეთება. იდეის რეალიზაცია და მისი გააზრება არქიტექტურის განცდაში მდგომარეობს, რასაც შენ გრძნობ შენობის გავლისას, როგორ მოძრაობს სხეული, როგორ ურთიერთქმედებს სხვა სხეულებთან, როგორ მუშაობს სინათლე, პერსპექტივა, ხაზები, ხმები, სუნი. სტატიაში განხილულია ფილოსოფოსის მ.მერლო პონტის ფენომენოლოგიური იდეები, რომლებიც საფუძვლად დაედო სტივენ ჰოლის არქიტექტურულ კონცეფციებს. სტატიაში წარმოდგენილია კავშირი არქიტექტურასა და გრძნობებს შორის ანუ პროექტირების ფენომენოლოგიური საფუძველი, ფენომენოლოგიური პრინციპები, რომლებიც თავს იყრის მის ნამუშევრებში.

სტუ-ს სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „არქ. და ქალაქთმშ. თანამედროვე პრობლემები“ N 7, გვ. 74-82

4. „კერამიკა როგორც არქიტექტურული სივრცის მხატვრული ორგანიზების საშუალება“,

პროფესორი მ.დავითაია, დოქტორანტი ი.ზარიძე

ანოტაცია

სტატიაში საუბარია ხელოვნების ორი დარგის-არქიტექტურისა და კერამიკის სინთეზირების საკითხზე, რომელიც განაპირობებს არქიტექტურული სივრცის მხატვრულ ფორმირებას და წარმოადგენს მათ შინაარსობრივ ურთიერთკავშირს. ერთიანი ამოცანის გადაწყვეტაში ხელოვნებათა მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს მხატვრული საშუალებების რთული და მრავალმხრივი სისტემების წარმოქმნას, რითაც არქიტექტორებსა და მხატვრებს უხსნის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობებს. XX საუკუნის უახლესი ევროპული კულტურის კერამიკა როგორც დეკორატიული ასევე უტილიტარული ხელოვნების დარგი, დღესაც ითვლება უმნიშვნელოვანეს ფენომენად, და დღემდე არ დაუკარგავს თავისი

ხარისხობრივი აქცენტი. განხილულია საქართველოში თიხისაგან გამომწვარი საშენი მასალის წარმოება და გამოყენება ძვ.წ.აღ. IV-III საუკუნეებიდან დღემდე.

სტუ-ს ჟურნალი „განათლება“, N17(3)

5.დეკორატიული ნარგავების და მწვანე მშენებლობის ობიექტების CAD სისტემებთან თავსებადი ილუსტრირებადი ბიბლიოთეკის შედგენის მეთოდიკა (დამხმარე სახელმძღვანელო)

პროფესორი თ. ჩიგოგიძე, პროფესორი ზ. კიკნაძე

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოს ძირითადი ამოცანაა საქართველოს კლიმატური პირობების შესაბამისი ინტერდისციპლინური, მრავალფუნქციური, მრავალმიზნობრივი და ღია, CAD პროგრამულ პაკეტებთან თავსებადი დეკორატიული მრავალწლიანი ნარგავებისა და მწვანე მშენებლობის ობიექტების ილუსტრირებადი კატალოგ-კლასიფიკატორის შესატყვისი მონაცემთა ბაზის, ელექტრონული ბიბლიოთეკის შემუშავების პრეცედენტის შექმნა.

ნაშრომი ძირითადად გათვალისწინებულია არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2015, ISBN 978-9941-20-596-5, დამხმარე სახელმძღვანელო, 94 გვ.

6. პიქტოგრამა -უძველესი ისტორია და თანამედროვე ვითარება

ასისტენტ პროფესორი გ. როყვა

ანოტაცია

არქიტექტურული გარემოს დიზაინი,რომლის შემადგენელი ნაწილია ინფორმაციული გრაფიკული დიზაინი, ეს არის ურთიერთობის და ინფორმაციის გადაცემის უნივერსალური ენა. ეს არის რეკლამა, პლაკატი, ბანერები, პიქტოგრამები. უკანასკნელი შედარებით გავრცელებულია და პიქტოგრამების ენა გასაგებია თარგმანის გარეშე ნებისმიერი ასაკის და ეროვნების ადამიანისათვის. ინფორმაციული დიზაინი საზოგადოებრივ სივრცეებში - იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომლებიც გამოიყენება მეტად კომფორტული ყოველდღიური სივრცის შესაქმნელად. თავდაპირველად პიქტოგრამა იყო დამწერლობის პირველი სახეობა. მას საფუძვლად უდევს აღწერილობითი ხასიატის ცალკეული თემატური ნახატები, რომლებსაც შეუძლიათ გადასცენ ინფორმაციის ვრცელი მონაკვეთი. დღეს პიქტოგრამა გამოიყენება როგორც ნიშანი, რომელიც უჩვენებს ობიექტის, საგნის ან მოვლენის მთავარ მახასიათებლებს, რომელსაც ის გამოხატავს, ხშირად ყველაზე სქემატური სახით ვიზუალური ინფორმაციის აღქმის გაადვილების მიზნით. ეს სტატია არის ექსკურსი პიქტოგრამების ისტორიაში, ვიზუალური კომუნიკაციის ერთ-ერთ სახეობასი, რომელიც უკვე გახდა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“;№ 4 (43) 2016 გვ 64-67; (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.77, 0175, თბილისი, საქართველო)

7.ღეროვანი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ინჟინრული ხერხით

პროფესორი ნინო ხაბეიშვილი, პროფესორი ანზორ ხაბეიშვილი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ღეროვანი სისტემის დინამიკური გაანგარიშება დარტყმაზე ინჟინრული ხერხით. ამ მეთოდით პოტენციალური ენერგია განისაზღვრება შიგა დრეკადი ძალოვანი ფაქტორების საშუალებით, რომლებიც დარტყმის წერტილში მოდებული უცნობი ძალით არის აღძრული. დინამიური ძალა განისაზღვრება დარტყმის წერტილში სიხისტის სისტემით. დინამიკური ძალის საშუალებით კი განისაზღვრება დინამიკური ძაბვა.

საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2(16), 2016. (გვ. 147-151).

8. “ბუნებრივ-ეკოლოგიური კარკასი, როგორც ქალაქის ტერიტორიალური განვითარების საფუძველი”

პროფ. გიორგი სალუქვაძე, დოქტორანტი ზ. ბურჭულაძე

სტატიაში საუბარია ბუნების დაცვის ისეთ თანამედროვე სტრატეგიაზე, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით , როგორიცაა ბუნებრივ-ეკოლოგიური კარკასის როლი, რომელიც ეხმარება ქალაქს ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებაში.

“ სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები” N6 2016 წ.

9.„პოლონეთის უახლესი არქიტექტურა - ტენდენციები და მიმართულებები (ვარშავის მაგალითზე)“

პროფესორი ნინო იმნაძე

ანოტაცია

თემის მიზანია ვარშავის არქიტექტურული გამოცდილების რეტროსპექტული განხილვა და მიმდინარე პროცესების ანალიზი, რადგან ქალაქის გარდასახვის პრობლემა აქტუალურია თბილისისთვის. ვარშავის უახლესი არქიტექტურის აქტუალური საკითხებიდან ავღნიშნავთ რამოდენიმეს, რომლებიც ანალოგიურად აქტუალურია თბილისისთვის: ძველი ქალაქის რესტავრაცია - რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია; თანამედროვე შენობის ჩასმა ისტორიულ გარემოში; სამრეწველო სივრცეების ტრანსფორმაცია; მაღლივი მშენებლობა; პროექტები, რომელებშიც ვლინდება ახალი პარადიგმის ძიება; ღია და დახურული საზოგადოებრივი სივრცეების ორგანიზება; უბარიერო სივრცის ფორმირება. ანალიზით მტკიცდება მოსაზრება, რომ პოლონეთი თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ავანგარდშია. არქიტექტურული პრობლემები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტებით, ისე არქიტექტურული ფორმადწარმომქმნელი ძიებების მრავალფეროვნებით. ვერ ვიტყვით, რომ აქ ადგილი აქვს კონფლიქტს ან ბრძოლას შემოქმედებითი პირველობისთვის, აქ უფრო კონფროტანცია და თანაარსებობაა. დროის თანამედროვედ ყოფნა, სურვილი ჩაეწეროს მსოფლიო არქიტექტურულ ბრძოლაში, თუმცა ანალიზი რამდენადმე სუბიექტური ხასიათისაა.

ჟურნალი „განათლება“; სტუ. თბ. 2016 №1(15) გვ. 246 – 251

10. მეოთხე განზომილება - ფუტურისტული ფანტაზიების რეალიზაცია

ნ. ქოჩლაძე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კინეტიკური არქიტექტურის, კინეტიკური ფასადებისა და ქანდაკებების მაგალითები მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან დღემდე. აღწერილია მექანიკის, ელექტრონიკის და რობოტოტექნიკის მიღწევების ზეგავლენა არქიტექტურაზე, რაც სტატიურ, მყარ ობიექტებს დროში ცვალებადობის, ფიზიკურად ადაპტირების უნარს სძენს, რამაც არქიტექტურას მეოთხე განზომილება – დრო – შემატა. აღწერილი მაგალითებიდან გამომდინარე განსაზღვრულია ის ტენდენციები რა მიმართულებითაც შესაძლოა განვითარდეს კინეტიკური არქიტექტურა.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა" N2(41), თბილისი 2016წ.გვ.30-34

2015 წელს აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიები

1.„ცაბაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია"

მ.დავითაია, თ.ვალიშვილი;

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თბილისის ერთ-ერთი ძველი ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, კერძოდ ყოფილი ტელმანის ქუჩა, რომელსაც ახლა ცაბაძის ქუჩა ქვია. ღეაბილიტაციის პროექტზე მუშაობდა არქიტექტურული სტუდია "არქიტექტურული ბიურო", რომელმაც რეაბილიტაციის ახალი კონცეფცია შემოგვთავაზა. ის გულისხმობდა ძველსა და ახალს შორის ჰარმონიული კავშირის შენარჩუნებას მშენებლობისა და მასალების გამოყენების ახალი მეთოდებით. სამუშაოს მიზანს გულისხმობდა ქუჩისა და შენობების აღდგენას პირვანდელი სახით, ქართული სამშენებლო ტრადიციის შენარჩუნებით.

სტატია იწყება ქუჩის ჩამოყალიბებისა და განვითარების წინაისტორიით და იმ სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის განხილვით, რომელიც იმ პერიოდს ახასიათებდა. პირველი სახლი ამ ქუჩაზე ეკუთვნის დ.ჩისლიევს, რომელიც ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს, მოგვიანებით კი სხვა სახლები დაიდგა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ქუჩის განაშენიანება. რეაბილიტაციის მიზანი იყო ქუჩისა და მასზე მდგარი სახლების ერთიანი სახის მიღება, რომლებიც დროთა განმავლობაში დაინგრა ჩარევების გამო. შენობებს დაემატა ახალი ნაწილები – მანსარდები, ლოჯიები, აივნები და სხვ. რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ ქუჩამ კონტექსტური განაშენიანება მიიღო კონტრასტის მეთოდით.

სტუ-ს ჟურნალი „განათლება" N 1(12), გვ.246-251, თბ.2015 წ.

2.„ერიკ ოუენ მოსის გნოსტიკური არქიტექტურა",

მ.დავითაია, თ. ხარჩილავა,

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ამერიკელი არქიტექტორის ერიკ ოუენ მოსის შემოქმედება. ის საკუთარ თავს გნოსტიკოს არქიტექტორად მოიხსენიებს და თავის თეორიულ მოსაზრებებს გნოსტიციზმთან, რომელიც ფილოსოფიურ-რელიგიური მიმართულებაა, აკავშირებს. ნაშრომი

იწყება ერიკ ოუენ მოსის მცირე ბიოგრაფიით. შესავალ ნაწილში ხდება მოსის, როგორც დეკონსტრუქტივისტი არქიტექტორის გაცნობა, ისე როგორც კრიტიკოსები მსჯელობენ მის ლინგვისტურ კოდზე. განიხილება გნოსტიციზმის არსი, თუ რას წარმოადგენს ის რელიგიური თვალსაზრისით, რაში მდგომარეობს მისი ფილოსოფიის არსი. სტატიაში საუბარია იმ საერთო ნიშნებზე, რომელსაც მივაკვლიეთ მოსსა და გნოსტიციზმს შორის. ბოლო ნაწილში წარმოდგენილია მაგალითები მოსის პრაქტიკული შემოქმედებიდან, რათა უკეთ წარმოჩენილიყო მისი თეორიული ნააზრევის პრაქტიკაში გადმოტანის საშუალებები.
სტუ-ს ჟურნალი „განათლება“ N 2(13), გვ.197-202, 2015 წ.

3. „ივან ლეონიდოვის იდეების გავლენა რემ კულჰაასის შემოქმედების ზოგიერთ ასპექტზე“,

მ.დავითაია, თ. ჩუბინიძე,

ანოტაცია

მოხსენებაში მოცემულია მე–20 საუკუნის ოციან წლებში არქიტექტურის ისტორიაში წარმოქმნილი პრობლემები, რომლის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსულმა კონსტრუქტივიზმმა. სტილისტური შტამპების საშიშროების აღმოფხვრაში დიდი წვლილი შეიტანა ივან ლეონიდოვმა, რომლის ინოვატორულმა მიდგომებმა მე–20 საუკუნის 80–იან წლებში ახალი პრობლემები გადაჭრა. 60–იან წლებში კანონიზაციასთან ბრძოლამ წარმოშვა არქიგრემი, იაპონური მეტაბოლიზმი, „Team-10'' იგულისხმება, დამკვიდრებული არქიტექტურის უარყოფა და ახალი გზების ძიება. თემაში საუბარია ჰოლანდიური ჯგუფების დაპირისპირებაზე და რემ კულჰაასის როლზე ჰოლანდიურ და მსოფლიო არქიტექტურაში. კონსტრუქტივიზმის გავლენა კულჰაასის ადრეულ პროექტებზე და თანამედროვე შენობებში მის მიერ ლეონიდოვის იდეების განხორციელებაზე. კონსტრუქტივისტისა და ნეომოდერნისტის კვალზე არქიტექტურის ისტორიაში, რომელთა იდეებითაც საზრდოობს და მომავალში გააგრძელებს „გამოკვებას“ თანამედროვე არქიტექტურა.

სტუ-ს ჟურნალი „განათლება“ N 3(14), გვ.,177-182 2015 წ.

4.მწვანე მშენებლობის ფოტორეალისტური ვიზუალიზაციის საკითხები

თ. ჩიგოგიძე, ზ. კიკნაძე, გ. ხოსრუაშვილი

ანოტაცია

დღეის მდგომარეობით ფაქტიურად მთელი საპროექტო დოკუმენტაცია და პრეზენტაციები სრულდება CAD (პროექტირება კომპიუტერის საშუალებით) სისტემების გამოყენებით, რადგანაც ეს მოთხოვნა დეკლარირებულია როგორც დამუშავების, ისე შეთანხმებისა და დამტკიცების ეტაპზე. CAD სისტემებში მწვანე ნარგავების ვიზუალიზაცია დღევანდლამდე პრობლემატურია. ეს განპირობებულია ამ კატეგორიის ობიექტების რთული სტრუქტურული აგებულებით. ჭეშმარიტი 3D გამოსახულება გამოიწვევდა კომპიუტერული რესურსების გაუმართლებელ ფლანგვას. საერთო და სპეციფიური დანიშნულების პაკეტებში ძირითადად კმაყოფილდებიან მცენარეების განზოგადებული გამოსახვებით ან პირობითი აღნიშვნებით, ე.ი. ზოგადი შთაბეჭდილების შექმნის მცდელობით. ცნობადობის (ჯიშის, ასკის, სეზონის მიხედვით) საკითხი ზოგადად CAD სისტემებისთვის ჯერჯერობით პრობლემატურია. რაც შეეხება, ლანდშაფტური არქიტექტურისა და მწვანე მშენებლობის ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის შექმნის პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორიცაა Landscaping and Desk Designer, Total 3D Landscape Deluxe და სხვა რასტრული პაკეტები CAD სისტემებთან, როგორც წესი, არაა თავსებადი. ხოლო Autodesk–ის საბაზო პროგრამული უზრუნველყოფა (AutoCAD, AutoCAD Architectura, Land Desktop, 3ds Max და სხვ.) არ შეიცავს რამდენადმე „რეალისტურ“, ცნობად და დენდროლოგიურად

ნიუანსირებულ პარამეტრებსა და ბიბლიოთეკებს. სტატიაში განხილულია ამ საკითხის გადაჭრის გზები და პერსპექტივები.

სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს ინჟინერინგი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2015(2), გვ. 131-133

“Business-engineering “, Georgian Technical University, Tbilisi, 2015 (2), pp. 131-133

5.თბილისის პოსტსამრეწველო ობიექტების რევიტალიზაციის საკითხისათვის.

მ.მილაშვილი;ვ.მჭედლიშვილი.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია თბილისში არსებული მცირე და საშუალო მასსტაბის მქონე პოსტსამრეწველო ობიექტების განახლების ძირითადი მეთოდები და მიმართულებები.

საქართვეოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს საინჟინრო აკადემია. ბიზნეს-ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი.#1 . თბილისი. 2015 წ.გვ.195-199;

6.ინტერიერის ფორმირების ფსიქოლოგიური ასპექტები.

მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სხვადასხვა დანიშნულების ინტერიერების ორგანიზებისას ფსიქოლოგიური ასპექტების ზემოქმედებისა და ინტერიერების ფორმირების პროცესში მათი გათვალისწინების უცილებლობის საკითხი.

სტუ. არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. სამეცნიეროტექნიკური ჟურნალი #5. თბილისი.2015 წ.გვ.44-53;

7. არქიტექტურული პროპედევტიკის განვითარების პერსპექტივები

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

მოსალოდნელია, რომ არქიტექტურული პროპედევტიკის შინაარსი და მასთან ერთად არქიტექტურული მოღვაწეობის მეთოდოლოგია დინამიკაში შეიცვალოს სამეცნიერო მიღწევებისა და ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად. მასში, რა თქმა უნდა, გაძლიერდება მეცნიერული კომპონენტი, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას და მხატვრული შემოქმედების მეთოდებს, მეცნიერების შესაძლებლობები შეზღუდულია და ის ვერასოდეს ვერ შეცვლის მხატვრის, ხელოვანის ინტუიციას.

განათლება # 3 (14) 2015, გვ. 198-201;

8. არქიტექტურული პროპედევტიკის მნიშვნელობა და არქიტექტურული კომპოზიციის სწავლების პრობლემები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

არქიტექტურული პროპედევტიკა პროფესიული სწავლების საბაზისო ელემენტია და წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს, რომელიც უზრუნველყოფს პლასტიურ, მოქნილ გადასვლას არქიტექტურის უფრო რთულ საკითხებზე. წლების მანძილზე ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე არქიტექტურული კომპოზიციის სწავლების მეთოდოლოგია ძირითადად თანხვდებოდა მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სტუდენტთა აზრით ამ საგნის სწავლება მათთვის მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლოა, ხოლო სწავლების პრინციპები - მისაღები.
თუმცა ბოლო 3 წელია პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სტუდენტთა შეფასებისა და მსოფლიო წამყვან არქიტექტურულ სკოლებში დამკვიდრებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ ოთხსემესტრიანი სწავლებიდან მოხდა გადასვლა 2 სემესტრიანზე, რაც არანაირად არ უწყობს ხელს სტუდენტების ხარისხიან მომზადებას სწავლების უფრო რთულ, პროექტირების ეტაპზე გადასასვლელად. პრობლემატურია ასევე სასწავლო კურსის ეტაპების განაწილება, რაც ლოგიკურ ცვლილებებს მოითხოვს.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 77 კოსტავას ქ., თბილისი, 0175, საქართველო, 2015 გვ. 72-79

9. არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა, როგორც

არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის თანამედროვე სკოლა შეიძლება დახასიათებული იყოს, როგორც არქიტექტურული განათლების სისტემის ნოვატორული მოვლენა, რომელიც იყო სოციალ-კულტურული პროგრესისა და ხელოვნების ევოლუციის შედეგი. ის არის აღიარებული და აპრობირებული სამეცნიერო-პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც ეფექტიანად წყვეტს საბაზისო პროფესიული გამოცდილების ათვისების ამოცანას.
სტუ განათლება # 3 (14) 2015, გვ. 195-198;

10.ისტორიული ქალაქის პრობლემები ლანდშაფტური ზონის იდენტიფიცირების კონტექსტში

ასოცირებული პროფესორი, მედეა მელქაძე, აკადემიური დოქტორი,

ანოტაცია

ჩვენი სტატია (მოხსენება) სათაურის ყოველი ფრაზისა და ცნების პროექციაა.

რისი თქმა გვსურს ამით? მივდიოთ სათაურის თითოეულ ცნებას რიგრიგობით. 1. ისტორიული ქალაქის პრობლემები - ეს არის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საწირბოროტო პრობლემა, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე არქიტექტურაში მომძლავრებული ახალი ტექნოლოგიების ფონზე. 2. ლანდშაფტური ზონა-არეალი ქალაქის ურბანულ ზონებში ბუნებრივი გარემოს იდენტიფიკაციის დაცვის მიზნით. 3. იდენტიფიკაცია, ანუ გაშიფვრა, არსობრივი აქცენტების გამოვლინება და ხაზის გასმა.

რა არის ჩვენი განსჯის საგანი? ქალაქის ისტორიული ნაწილი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს ლანდშაფტური ზონის განუყოფელ სუბსტრუქტურას, ჰარმონიულად ქმნის იმ ფენომენს, რასახ „ძველი თბილის“ ჰქვია.

ის რომ ჩვენი ქალაქის ისტორიული უბნები სერიოზული პრობლემის წინ დგას, ყველასათვის ცნობილია.

ისმის კითხვა: - რა არის ეს პრობლემები? პასუხია - მრავალგვარი: 1. სისმური, 2. ბუნებრივ-კლიმატური, 3. ქალაქგეგმარებითი, 4. ტექნოლოგიური, 5. სოციალურ-ეკონომკური და ა.შ.

არქიტექტურა ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემის ეპიცენტრში დგას და თანამედროვე ტექნოლოგიურ-სამშენებლო-ბუმის ეპოქაში არცთუ უმნიშვნელო პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ქალაქის ძველი უბნებისათვის (საშიშროების მიზეზები ცალკე საუბრის თემაა).

საშიშროება, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, არის არქიტექტურული მოცულობისა, როგორც სისტემა - პოსტსტრუქტურის სემანტიკური სისტემისა და ბუნებრივი გარემოს, როგორც სტრუქტურის შეთავსება - შეუთავსებლობის, ანტაგონიზმისა და ტავტოლოგიის ფონზე.

ზემოაღნიშნული საკითხი არის არქიტექტურისა და ბუნებრივი გარემოს - ლანდშაფტის დიალოგი - ურთიერთობა. ეს პრობლემა არის თუ არა საერთაშორისო, თუ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკას წარმოადგენს? - მოკლე პასუხია: საერთაშორისოა და ამ კონტექსტში დასავლური მაგალითების მოყვანა, მათი სისტემური ანალიზი და შედარება საქართველოს რეალობასთან, არის ჩვენი მოხსენების სივრცე, რომლის პრიზმაში მოვახდენთ აშშ-ების როგორც თანამედროვე არქიტექტურის ერთ - ერთი ვექტორის - ორგანული არქტიტექტურის - აკვნის ფენომენის განხილვასა და სამამულო არქიტექტურის თავისებურებებთან შედარებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, განათლება N2 (13) თბილისი 2015

11.„ახალი“ ხალხური არქიტექტურა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

პროფ. ნინო იმნაძე,მაგისტრანტი თამარ ადუაშვილი

ანოტაცია

ხალხური ნაციონალრი კულტურის შენარჩუნების პრობლემა მეტად აქტუალურია დღეს საქართველოსთვის, რადგან ის ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენის ნაწილია, მიმართული იდენტობის და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. ხალხური არქიტექტურა - რეგიონალიზმი წარმოადგენს ტავისებურ პასუხს გლობალიზაციაზე, მიმართული იდენტობის და ინდივიდუალობის შენარჩუნებაზე. ანალიზმა გვიჩვენა ხალხური არქიტექტურის ინტერპრეტაციის სხვადასხვა გზები. 1. სტილიზაცია; 2. ხალხური შემოქმედების პირდაპირი ციტირება; 3.ხალხური შემოქმედების შემოქმედებით გააზრება; 4.ტრადიციული სამშენებლი მასალის გამოყენება; 5.წარწერები; 6. ორნამენტი. ამრიგად, განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ რეგიონალური არქიტექტურის შექმნა ძალზე რთულია. იგი მხოლოდ თანამედროვე არქიტექტურის ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა რომელშიც ფორმათწარმოქმნის დიდი შესაძლებლობები დევს. მისი სწორი ამოცნობა ხელს შეუწყობს იდენტობის შენარჩუნებას. ხალხური ტრადიციული ფასეულობები ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხალხური კულტურა გვახსენებს პერიოდულად დავიწყებულ ჭეშმარიტებას - სრულყოფილი დღევანდელობა შეიძლება არსებობდეს წარსულის და მომავლის გზაჯვარედინზე.

ჟურნალი; „განათლება“ სტუ, თბ. 2015, № 1(12) გვ. 257-262

12.“ხელოვნური განათების როლი და ინოვაცია არქიტექტურაში’

Nino Imnadze, prof. Mariam Gvazava, undergraduate 3rd year student
ნინო იმნაძე, პროფ. მარიამ გვაზავა ბაკალავრიატის მე-3 კურსისი სტუდენტი

ანოტაცია

ინოვაციური იდეების ძიება წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას არქიტექტურაში. ისმება კითხვა: სად და რა პრობებში შეიძლება დაიბადოს ახალი იდეები? ერთის მხვრივ კონკურსები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი იდეების დაბადებას და მეორეს მხვრივ სტუდენტური პროექტირების პროცესში. გარდა ამისა ერთ ერთი საუკეთესო გზაა ვორქშოფების ჩატარება, რადგან იგი ხელს უწყობს კრეატიული იდეების დაბადებას. ამ სივრცეში სტუდენტი არის თავისუფალი, შესაბამისად არქიტექტურული ფორმაც არის თავისუფალი. ეს არის სივრცე კრეატიული აზროვნებისთვის. დღეს ეს სფერო ძალიან პასიურია საქართველოში, ამ სფეროს გააქტიურების მიზნით სტუდენტებმა შექმნეს „არქიტექტურული ფორუმი“ და საფუძველი ჩაუყარეს სტუდენტურ მარათონს - ღია შემოქმედებით მოედანს. მარათონის თემა თავად დამფუძნებლებმა ჩამოაყალიბეს: „განათება არქიტექტურაში“-კრეატიული აზროვნება და იდეის შექმნა სინათლის საშუალებით. სტუდენტების ნამუშევრებით შეიქმნა უჩვეულო „არტ-გალერეა“. თვითოეულ პროექტში სინათლის, ჩრდილის, ფორმის სინთეზით გადმოცემულია კონკრეტული აზრი. ამრიგად, მარათონით გამოვლინდა საინტერესო და ინოვაციური იდეები; ამ წამოწყებამ სტუდენტებს უამრავი უნარჩვევები გამოუმუშავა.
ჟურნალი; „განათლება“ სტუ, თბ. 2015, № 3(15) გვ. 183-190

13.თანამედროვე არქიტექტურა ქალაქის ისტორიული ცენტრის კონტექსტში. („რიყის“ არქიტექტურულ–სივრცული ანალიზის მცდელობა“)

სრული პროფ. ნინო იმნაძე; ერეკლე ვარდოსანიძე; მაგისტრანტი

ანოტაცია

ახალი არქიტექტურის კონტექსტუალიზმის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ისტორიული ქალაქისთვის. ახალი ფორმის შექმნა, ამავე დროს კორექტულის ქალაქის ტრადიციული სახის მიმართ განსაკუთრებით აქტუალურია ისტორიული თბილისისთვის. დგება საკითხი: რამდენად შესაძლებელია თანამედროვე სივრცესა და ძველ გარემოს შორის შეიქმნას ანსამბლი? მიუხედავათ უამრავი პუბლიკაციებისა, ორაზროვანი შეფასებებისა, წინამდებარე მოხსენებაში ჩვენ მაინც გავაანალიზებთ რიყის ახლად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ სივრცეს მიმდებარ ტერიტორიებთან ერთ მთლიანობაში. ამრიგად, რეალობის ანალიზი არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ რაიმე სივრცულ-გეგმარებით კონცეფციაზე. ავტორებმა, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილის ხასიათი ვერ ამოიცნეს, ეს კი მისცემდა საშუალებას შეექმნათ ახალი ნაგებობა არსებული განაშენიანების მორფოლოგიის კონტექსტში, რაც გააძლიერებდა არქიტექტურული გარემოს და მშენებარე ობიექტის სახეს. არსებული ისტორიულად ფასეული გარემო ახლისთვის გახდა მხოლოდ „ლამაზი დეკორაცია“. ვერ ჩამოყალიბდა ჰარმონიული, ემოციური გარემო, რომელშიც თანაარსებობენ ძველი და ახალი ობიექტები. ემოციური არქიტექტურული გარემო კი არის შედეგი ინტუიციის, რომელიც მიიღწევა კონცეფციებით, სადაც ურთიერთკავშირშია გარემო, ადამიანი და ბუნება.

ჟურნალი; „განათლება“ სტუ, თბ. 2015, № 1(12) გვ. 263-267

14.სამრეწველო არქიტექტურა და ტურიზმი

პროფ. ნინო იმნაძე, სტუდენტი გიორგი ვარდოსანიძე

ანოტაცია

წინამდებარე სტატიის მიზანია გავაანალიზოთ საქართველოში არსებული ღვინის მარნები და ქარხნები, რომლებიც დაფუძნებულია თანამედროვე არქიტექტურაზე და ტექნოლოგიებზე

ღვინის წარმოებაში. ჩვენ მათ განვიხილავთ ტურიზმის კუთხით. „ღვინის ტურიზმი“ ტურიზმის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა მთელს მსოფლიოში.

ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში არსებული მეურნეობების არქიტექტურა ორიენტირებულია რეგიონალური, ტრადიციული-ხალხური არქიტექტურის ნიშნების გამოვლენაზე, ერთი შეხედვით კიტჩია, თუმცა იგი არ არის გამაღიზიანებელი, მიმზიდველია რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად არის მოძებნილი ფოლკლორული ელემენტები, რითაც შექმნილია უნიკალური ატმოსფერო და განწყობილება. თვითოეულ მეურნეობა წარმოადგენს თეატრალურ ინსტალაციას, რომლის მთავარი მოქმედი პირი ადამიანია და ეთნოგრაფიული ინსტრუმენტები. ორიენტირებულია, იმაზე, რომ ტურისტებმა დააგემოვნონ ღვინო და მიირთვან ნაციონალური კერძები, მონაწილეობა მიიღონ ღვინის სხვადასხვა დღესასწაულებში, მათგან განსხვავებით შატო „მუხრანი“ კომფორტული და თანამედროვე ღვინის სამყაროა. არქიტექტურებმა დიდი ტაქტით შექმნეს საინტერესო სინთეზი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის, და ამით შემოიტანეს სრულიად ახალი თემა ქართულ თანამედროვე არქიტექტურაში „ ღვინო - არქიტექტურა - ტურიზმი“.

ჟურნალი; „განათლება“ სტუ, თბ. 2015, № 2(13) გვ.209-213

15.“უნივერსალური პროექტირების“ კონცეფცია პოლონეთის და საქართველოს მაგალითზე

პროფესორი ნ. იმნაძე

ანოტაცია

წინამდებარე თემის მიზანია „უნივერსალური პროექტირების კონცეფციის“ გააზრება, რომელიც დღესდღეობით ერთერთი აქტუალური პრობლემაა და წარმოადგენს სიახლეს ჩვენი ქალაქისთვის. „უნივერსალური პროექტირება“ ეს არის ახლებური აზროვნება ურბანულ კულტურაში. მისი მიზანია - თანაბარი შესაძლებლობის შექმნა ყველა ადამიანისთვის.“ ანალიზმა დაგვანახა, რომ 21-ე საუკუნეში თანამედროვე საზოგადოების სრულყოფილი ფუნქციონირება შეუძლებელია „უბარიერო“ სივრცის კონცეფციის რეალიზაციის გარეშე, რომელიც მისცემს საშუალებას ნაკლებად მობილური კატეგორიის მოქალაქეებს განახორციელონ ფიზიკური და არა ვირტუალური წვდომა მომსახურების და მატერიალურ ობიექტებთან. ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასურველია მოვახდინოთ პოლონეთში არსებული გამოცდილების ადაპტირება საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავებული კვლევების შედეგების გათვალისწინება, რეკომენდაციების ჩამოყალიბება და შემოთავაზება.

სტუ; არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები; სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. თბილისი №6, 2016 წ.გვ.27 - 40

16. რეაგირებადი არქიტექტურის მაგალითები XXI საუკუნის ამერიკაში

ასოცირებული პროფესორი ნ. ქოჩლაძე

ანოტაცია

რეაგირებადი არქიტექტურა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს არქიტექტურული კვლევის სფეროში. ჩვეულებრივ რეაგირებადი არქიტექტურის განსაზღვრება ენიჭება იმგვარი კლასის არქიტექტურას ან შენობას, რომელსაც შეძლია ფორმის შეცვლა გარემო პირობების

ცვალებადობის შესაბამისად. აშშ-ს რეაგირებადი არქიტექტურის 21 საუკუნის მაგალითების განხილვიდან ჩანს, რომ რეაგირებად არქიტექტურაში მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის ასპექტი არ არის მთავარი, აქ მნიშვნელოვანია სივრცის შესწავლა ტექნოლოგიების საშუალებით. ჩანს, თუ როგორ შეიცვალა დამოკიდებულება სივრცის მიმართ, მისი აღქმა. ახალი ტექნოლოგიების შექმნა ახალი არქიტექტურული სივრცის შექმნას განაპირობებს.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "განათლება" N2(13), თბილისი, სტუ, 2015წ.გვ.214-219

17. **თანამედროვე ხიდების არქიტექტურა**

ბ. თინიკაშვილი, მ.ჯავახიშვილი

ანოტაცია

სტატიის მიზანია არსებული ხიდების სისტემატიზაცია და კვლევა. გამოვლინდა რომ ხიდი, როგორც საინჟინრო ნაგებობა გარემოს ხელშეუვალი ნაწილია, ამიტომ განიხილება მასთან კონტექსტში. ქალაქის ტერიტორიები ხიდებთან მიახლოვებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონებით ითხოვს სრულიად თავისებურ მიდგომას არქიტექტურული გარემოს ჩამოყალიბებაში. შესაბამის სიტუაციაში გარემოს სივრცულ - არქიტექტორულ ანალიზის შედეგად აუცილებელია ხიდის შექმნა, როგორც დამაკავშირებელი სიტეტემა - სტუქტურისა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შედეგად ხიდის მხატვრული სახე წარმოადგენს ესთეტიკურ კატეგორიას და არ საჭიროებს დეკორის დონეზე დეტალიზაციას. თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიური ინოვაციებმა არ უნდა დაარღვიოს ბუნებრივი გარემოს პრიორიტეტი და ხიდი, როგორც ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა უნდა იყოს არსებული ლანდშაფტის ჰარმონიული გაგრძელება.

საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტი ჟურნალი „განათლება" 2015წ. N 1 (12)

2014 წელს აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიები

1.ქ. თბილისის ბაღ-პარკების ექსპანსიის პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

დოქტორანტი ანა ლაღიძე, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი თ. მახარაშვილი

რეზიუმე:

სტატიაში განიხილება მწვანე ნარგავების როლი და მნიოშვნელობა ურბანული გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. განიხილება მწვანე ნარგავების თავისებურებები და სანიტარულ ჰიგიენური თვისებები და მოცემულია რეკომენდაციები გამწვანებული სივრცეების იკეთესი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად და ორგანიზებისათვის, ქალაქ თბილისის ეკოლოგიური მონაცემების გაუმჯობესების მიზნით.

“ინტელექტუალი” №26, 2014; ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; გვ. 231-235;

2.მთიდან მოსახლეობის მიგრაციის პრობლემები და ურბანული განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე

დოქტორანტი ნინო ლაღიძე; არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი თ. მახარაშვილი

რეზიუმე:

განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონებიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის პროცესი. მოცემულია ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მისი სენარჩინების ზოგიერტი წინადადებები.

“ინტელექტუალი” №26, 2014; ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; გვ 225-230;

3. "ახალი მშენებლობები თბილისის „ვარდების რევოლუციის“ მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე”

პროფესორი მ. დავითაია, დოქტორანტი ს. გაბადაძე

რეზიუმე

ახალი მშენებლობები დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე უკავშირდება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემას. თბილისის „ვარდების რევოლუციის“ მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე რამოდენიმე ახალი ობიექტის მშენებლობა მომავალში შეცვლის ქუჩის მასშტაბსა და იერსახეს. სტატიაში განხილულია მოედნის გარშემო წარმოქმნილი ახალი მშენებლობების განხილვა მხატვრულ-კომპოზიციური თავისებურებების ჩვენებით და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანა.

სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N1(32), 2014 წ. მაისი

4.საკონკურსო პროექტების შეფასების ექსპერტული სისტემა

თინათინ ჩიგოგიძე, ვ. ვარდოსანიძე, ზურაბ კიკნაძე

ანოტაცია

დღესდღეობით არ არსებობს საკონკურსო მასალების ჟიურის მიერ შეფასების ცალსახად ჩამოყალიბებული და საყოველთაოდ მიღებული პროცედურა. ამასთანავე აღსანიშნავია პრინციპული შესაძლებლობა დაგროვილი გამოცდილებისა და მეთოდოლოგიური ძიებების საფუძველზე ისეთი სისტემის შექმნისა, რომელიც გახდება პროექტების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემების ობიექტურად გადაწყვეტის საფუძველი.
სტატიის ძირითადი მიზანია საპროექტო გადაწყვეტების ობიექტურად შეფასების პროცედურის აღწერა ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნიკური და მეთოდოლოგიური საშუალებების საფუძველზე. ნაშრომის მნიშვნელობა განპიროვნებულია როგორც დღევანდელი მოთხოვნილებებით, ასევე მშენებლობის მოსალოდნელი მზარდი მასშტაბების დინამიკით.
ოპტიმალური პროექტის გამოყენებით მიღებული სოციალური და ეკონომიკური ეფექტი უშუალოდ არის დაკავშირებული პროექტების ობიექტურად შეფასების პროცედურასთან.
ალგორითმის (რომელიც დაფუძნებულია ექსპერტების აზრის დაუშავების ე.წ. დელფის მეთოდის პრინციპზე) ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: ანკეტური სახით შედგენილი ექსპერტიზებისა და ექსპერტების რეიტინგის გათვალისწინებით განისაზღვრება ცალკეული და კომპლექსური მაჩვენებლების დონე, ხდება საკონკურსო პროექტების რანჟირება. შუალედური შედეგების საფუძველზე ზუსტდება ექსპერტების რეიტინგი, კორექტირდება საპროექტო გადაწყვეტების საბოლოო შეფასება, დგინდება ექსპერტების შეთანხმებულობის ხარისხი, ვლინდება საუკეთესო პროექტი.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი, 2014(4), 87-96 გვ. ISSN 2233-3266

5. დიზაინის ძირითადი სახესხვაობანი

გ.როყვა, თ.ქუთათელაძე, გ.ბაგრატიონ-დავითაშვილი

რეზიუმე:

დიზაინი XX დასაწყისში შეიქმნა და კორექტივები შეიტანა ხელოვნური “არქიფაქტურის“ გარემოს ორგანიზაციაში. გარკვეული პრობლემები შეიქმნა მის არქიტექტურასთან დამოკიდებულებაში. დღეს დიზაინი სხვადასხვა ფორმით არსებობს სამრეწვწლო, საექსპლუატაციო სისტემების, ქალაქგეგმარებითი, არქიტექტურული სოციალური და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეტვე ტრადიციულ, ხალხურ ფორმებს არქიტექტურასა და გამოყენებით ხელოვნებაში, რასაც დღეს ეთნოდიზაინს უწოდებენ. ეს ფორმები პასუხობს დიზაინის ძირითად პრინციპებს და მოთხოვნებს (ფუნქციურობა, კონსტრუქციულობა, ტექნო-ლოგიურობა და ფორმა). დღეს ძირითადი პრობლემაა დიზაინის თეორიულ საფუძვლებში სპეციალისტების ცოდნის გაღრმავება.

6.ჰომოგენური და აგრესიული ვიზუალური ველები ურბანიზირებულ გარემოში;

ნინო ხაბეიშვილი, ზურაბ კიკნაძე, მარიამ ხაბეიშვილი

ანოტაცია

ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბრისას, როგორც წესი, იგულისხმება მხოლოდ დაბინძურებული ჰაერი და წყალი, ხმაურის და რადიაციის მაღალი დონე. თუმცა საქალაქო გარემოს ვიზუალური მხარე წარმოადგენს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ბევრი ქალაქის თუ დასახლების ვიზუალური გარემო ყოველწლიურად უარესდება. თანამედროვე ქალაქებში შენობების შიშველი კედლები, დიდი შემინული ზედაპირები, მრავალსართულიანი სახლები მრავალრიცხოვანი ფანჯრებით და ა.შ. ქმნიან ჰომოგენურ და აგრესიულ ველებს, სადაც თვალები ვერ აკეთებენ ობიექტების იდენტიფიცირებას და ლოკალიზებას სივრცეში. ასეთი არასასურველი ვიზუალური გარემო არღვევს ფსიქიკას, უბიძგებს ადამიანს აგრესიული ქმედებისკენ და ძალადობისკენ.

საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2(11), 2014. (გვ. 155-158).

7.ქუჩის ხელოვნების ემოციური, სოციალური დატვირთვა და ადგილი ურბანული გარემოს ვიზუალური აღქმის კონტექსტში

ნინო ხაბეიშვილი, ზურაბ კიკნაძე, მარიამ ხაბეიშვილი

ანოტაცია

ქუჩის ხელოვნება წარმოადგენს რთულ სოციალურ საკითხს, რომლის დამახასიათებელ თავისებურებასაც მკაფიოდ გამოხატული ურბანული სტილი წარმოადგენს. მრავალი ათწლეულის განმავლობაში, მისი არსებობა იწვევდა მძაფრ განხილვებს თანამედროვე ქალაქების მაცხოვრებელთა შორის. ამ ხელოვნების მთავარი იდეა წესებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაა. "სთრით-არტის" ძირითად ნაწილად გრაფფიტი გვევლინება, თუმცა მას ასევე მიეკუთვნებიან პოსტერები, ტრაფარეტები, სხვადასხვა სკულპტურული ინსტალიაციები და ა.შ. ქუჩის ხელოვნება ისრუტავს ყოველდღიური ცხოვრების ყველა ტენდენციას და სირთულეს და მათი ინტერპრეტაციისთვის იყენებს ყველა ხერხს. აქ ყველა წვრილმანი - ჩრდილი, ფერი, ხაზი, დეტალი მნიშვნელოვანია. მხატვარი ქმნის თავის სტილიზებულ ლოგოტიპს - "უნიკალურ ნიშანს" და აქცევს ქუჩას ავანგარდული ხელოვნების სფეროდ, თვითგამოხატვის პლატფორმად.

საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2(11), 2014. (გვ. 158-161).

8.მეტყველების გარჩევითობის დადგენა თეატრებში არტიკულაციური ტაბულების საშუალებით (თბილისის თეატრების მაგალითზე)

ნ.ხაბეიშვილი, ნ. ხვედელიანი

ანოტაცია

თბილისის დრამატული თეატრების აკუსტიკური თვისებების ანალიზის მიზნით, ნაშრომში განხილულია თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა და რუსთაველის სახ. თეატრების სამაყურებლო დარბაზებში, არტიკულაციური ტაბულების საშუალებით ჩატარებული ექსპერიმენტები. ამის საფუძველზე გაკეთებულია რეალური შეფასება და დადგენილია მეტყეველების გარჩევითობის ხარისხი. დასახულია გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების საშუალებები.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, N 1(32), 2014. (გვ. 148-152).

9.ღია თეატრების აკუსტიკა

ნინო ხაბეიშვილი, ანზორ ხაბეიშვილი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აკუსტიკის საკითხებით დაინტერესებული ძველი დროის ხუროთმოძღვრების და მკვლევარების გამონათქვამები. აღწერილია ვიტრუვიუსის ტრაქტატი, სადაც ახსნილია ანტიკური ღია თეატრების უნიკალური აკუსტიკის საიდუმლო. განხილულია რამდენიმე წლის წინ ამერიკელი მეცნიერების მიერ გახსნილი, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდი, ეპიდავრის ანტიკური თეატრი და მისი იდეალური აკუსტიკის განმაპირობებელი ფაქტორი. რეზიუმეს სახით გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, N 1(32), 2014. (გვ. 152-156).
Scientific-Technical Journal „Building“, Georgian Technical University, N 1(32), 2014. (p. 152-156).

10.გეომეტრიული აკუსტიკის მეთოდის გამოყენება რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში

ნინო ხაბეიშვილი, ანზორ ხაბეიშვილი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია გეომეტრიული აკუსტიკის მეთოდი, რომელიც შესაძლებელს ხდის დარბაზში აკუსტიკური ხარვეზების გამოვლენას და იმის განსაზღვრას საჭიროებს თუ არა სამაყურებლო დარბაზი აკუსტიკური თვისებების გაუმჯობესებას. აღწერილია ამ მეთოდის გამოყენებით რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზის აკუსტიკური თვისებების ანალიზის მიზნით ჩატარებული კვლევა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე

გაკეთებულია დარბაზის აკუსტიკური პირობების რეალური შეფასება, გამოვლენილია აკუსტიკური ხარვეზები: ბგერათა ზედდება, ბგერითი ენერგიის ფოკუსირება, აკუსტიკური "ჩრდილი" და დასახულია გამოვლენილი დეფექტების გამოსწორების საშუალებები, რაც გამოიწვევს აკუსტიკის საერთო მდგომარეობის და მეტყველების გარჩევითობის გაუმჯობესებას.

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი". N 26, 2014. (გვ. 213-217)

11.თბილისის პოსტსამრეწველო ობიექტების რევიტალიზაციის საკითხისათვის.

მ.მილაშვილი.ვ.მჭედლიშვილი

ანოტაცია: სტატიაში განხილულია თბილისში არსებული მნიშვნელოვანო პოსტსამრეწველო ობიექტების განახლების ძირითადი მეთოდები და მიმართულებები.

სტუ. არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი #4. 2014წ. გვ. 122-130;

12.სამუზეუმო არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციები

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

რეზიუმე:

მუზეუმების მშენებლობამ დღევანდელ დღეს მიაღწია უზარმაზარ მასშტაბებს მთელს მსოფლიოში. იზრდება მუზეუმის როლი კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაციაში და თანამედროვე სამყაროში ადამიანის იდენტიფიკაციაში. ცხადი ხდება ახალი ცოდნის, იდეების და სულიერი ფასეულობების გენერირების აუცილებლობა.
ცნებაში „მუზეუმი“ ერთვება ახალი ფუნქციები, რაც იწვევს სამუზეუმო არქიტექტურის განვითარებას და ცვლილებას. ახლა უკვე მუზეუმი აფასებს შენობის არქიტექტურული გადაწყვეტის სიახლესა და ორიგინალობას, მასში ან ღია სივრცეში წარმოდგენილი ექსპოზიციებისა და გამოფენების მიმზიდველობას და აღარ მიმართავს მხოლოდ საქმიანობის ტრადიციულ ფორმებს. მუზეუმის დაპროექტებისას კეთდება ახალი აქცენტი ისეთი სივრცის შექმნაზე, რომელიც მუზეუმში მნახველს მოიზიდავს და გაზრდის მის შემოსავლებს. საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტა, შეიძლება ტურიზმის გენერატორად იქცეს. მუზეუმი დღეს არა მხოლოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტია, არამედ ის საავტოროც არის.
სტუ განათლება 2014 №1(10) გვ193 - 198

13.მწვანე სახურავები - ეკოლოგიური რევიტალიზაცია და სოციალური პროგრამები

მედეა მელქაძე

რეზუმე

ცნობილია, რომ ეკოლოგიის თემა ინტერდისციპლინარულია. არქტიტექტურა, როგორც სივრცის ორგანიზაციის ხელოვნება, განაპირობებს ჯანმრთელ გარემოს. აქედან გამომდინარე - მწვანე სახურავების თემა - ერთ-ერთი პრიორიტეტულია მსოფლიოში. წინამდებარე სატიაში ჩვენ ვთავაზობთ ინფორმაციულ კოლაჟს შეერთებული შტატებისა და ევროპულ პრაქტიკას სამამულო პრაქტიკაში გამოყენებისათვის შესაბამისი რეკომენდაციებით. განვიხილავთ ცნობილ ექსტენსიურ

და ინტენსიურ მწვანე გადახურვებს. სტატიაში, აგრეთვე, ვაყენებთ მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, განათლება N2 (11) თბილისი2014

14..” საქალაქო აგლომერაციისა და ურბოეკოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები”

გ. სალუქვაძე

ანოტაცია

სტატიაში საუბარია ურბოეკოლოგიის, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელობანი ქალაქთმშენებლობითი მეცნიერული მიმართულების როლზე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობის საკითხებში, იმ როლზე, რომელსაც აგლომარაციას ასრულებს თანამედროვე ალაქთმშენებლობაში.

სამეცნიერი-ტექნიკური ჟურნალი “ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები” N4 ,2014 წ. გამომცემლობა” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”

15.“თბილისი - ტოლერანტული სივრცე-სიმფონია”

ნინო იმნაძე, მედეა მელქაძე;

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გავიაზროთ, თუ რას წარმოადგენდა მე–19 საუკუნის თბილისი, გავიგოთ რაში მდგომარეობდა მისი ხიბლი და სპეციფიკა, რაც ქმნიდა ტბილისურ სულს და თბილისურ არქიტექტურას. ანალიზმა გამოავლინა ტბილისის ურბანულ განვიტარებაში ერთი ძირითადი იდეა: ერთმანეთტან მიჯრით განთავსებული ნაგებობები ქმნიდნენ ერთიან სივრცულ სურათს. მთელი ქალაქი შემდგარია ანსამბლებისგან, რომელშიც გამოვლენილია სრული ჰარმონია არქიტექტურულ ფორმებსა და ლანდშაფტს შორის. თბილისის უნიკალურმა რელიეფმა განაპირობა ქალაქის უნიკალური ქალაქგეგმარებითი სისტემა და შესაბამისად ქალაქგეგმარებითმა სისტემემ განაპირობა ტბილისური სახლის უნიკალური სისტემა და სტრუქტურა.

ჟურნალი; „განათლება“ სტუ, თბ. 2014, № 1(10) გვ. 180-186

16. **მდგრადობის პრინციპები 21-ე საუკუნის ავეჯის დიზაინში**

ნ. ქოჩლაძე

რეზიუმე

ავეჯის, როგორც ინტერიერის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის როლი მნიშვნელოვანია მდგრადი ინტერიერის შექმნისას. ვეჯის მდგრადობის პრინციპით შექმნა გულისხმობს, რომ მასალები გათვლილია გარემოსა და ადამიანებზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებაზე და გარემოზე, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებზე დადებითი ზეგავლენის გაზრდაზე ნივთის არსებობის მთელი ციკლის მანძილზე. მდგრადი ავეჯის დიზაინზე ბევრი თანამედროვე დიზაინერი მუშაობს, რომლებიც მდგრადი ავეჯის შექმნის ინოვაციურ გზებს ეძებენ და საზოგადოებაში ახალ ესთეტიკას ამკვიდრებენ.

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი” N25, თბილისი, 2014, გვ.102-107

17. **მომავლის არქიტექტურა - ადაპტირებადი არქიტექტურა**

ნ.ქოჩლაძე

რეზუმე

რადგანაც თანამედროვე პერიოდი განისაზღვრება, როგორც გლობალი¬ზაციის, პერსონიფიკაციის, ელექტრონიკის ეპოქა, ავტორები ცდილობენ შექმ¬ნან კონცეპტუალური, მაღალტექნოლოგიური პროექტები, რომლებიც ადა¬მია¬ნების მოთხოვნებსა და ჩვევებს შეესაბამება. ამ თანამედროვე მიმდინარეობას ადაპტირებადი არქიტექტურის სახელით იხსენიებენ. როგორც ადაპტირებად არქიტექტურაზე არსებულ ლიტერატურაში ვხედავთ, ამ მიმდინა¬რეობის კლა-სიფიკაციის რამდენიმე სხვადა სხვა ვარიანტი არსებობს. ყველაზე უახლეს ქვეკატეგორიად შეიძლება „ჭკვიანი“ (სმარტ) სისტემები ჩაითვალოს, რომელიც მთლიანად ინტეგრირებულია მომხმარებლის და გარემოს ცხოვრებასა და მოქმედებაში. სისტემას შეუძლია თვითგანვითარება. ჭკვიანი ადაპტირებისთვის საჭიროა ახალი ტექნოლოგიები, რომლის შექმნაზეც ჯერ მუშაობენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სტუ, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომათა კრებული N69, თბილისი, 2014წ.გვ.278-281

18.მიწის არქიტექტურა

ბ. თინიკაშვილი, მ.ჯავახიშვილი

რეზიუმე

ნებისმიერი „მიწის“ შენობის დაპროექტების მიზანია ენერგიის შენარჩუნება და ადამიანისთვის მავნე ზეგავლენის შემცირება. ეკოლოგიური არქიტეტურა - ეს ის მიმართულებაა, რომელიც მოწოდებულია პროექტირების პროცესში შეინარჩუნოს ბალანსი ბიოსფეროს და ანტროპოგენულ გარემოს შორის. სტატიაში განხილულია “მიწის არქიტექტურის” უძველესი და თანამედროვე მშენებლობის მაგალითები.

სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N2(33) 2014 წ.

2013 წელს აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიები

1.პროექტის აქსესუარების ფორმირება CAD სისტემებში

თინათინ ჩიგოგიძე, არქიტექტურის დოქტორი, ზურაბ კიკნაძე, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

პროექტის ძირითადი სტრუქტურული შემადგენელი ელემენტების ვექტორული მოდელირება CAD სისტემებში ცალსახად პრიორიტეტულად არის განსაზღვრული. პროექტის გაფორმების დამხმარე საშუალებების, ანოტირებული სიმბოლოებისა და ობიექტების ფორმირება მეტ-ნაკლებად პრობლემატურია და სხვადასხვა მიდგომებით რეალიზდება. პირობითად, ზემოთხსენებულ ობიექტებს ჩვენ ვუწოდებთ აქსესუარებს, რომელთაგან ზოგიერთი (ხშირად

გამოყენებადი) განხილულია წინამდებარე სტატიაში. პროექტის აქსესუარებში მოიაზრება: 1. ანოტირებული სიმბოლოები და ობიექტები, 2. ფონი (Background), 3. რასტრული გამოსახულება (Image), 4. დეკოლი, 5. პეიზაჟი (Landscape), 6. კონტენტი, როგორც ფართე შინაარსის მომცველი ტერმინი, რომელიც გულისხმობს ავეჯს, შენობათა ნაწილებსაც კი და ა.შ. უმეტეს შემთხვევაში ისინი არ არიან პროგრამული პაკეტის ძირითადი ტექნოლოგიური ალგორითმის ობიექტები და ემსახურებიან შრომის წარმადობის ამაღლებას, ფაილის ზომის მინიმიზაციის ინტერესებს და გამოსახულების ოპტიმიზაციას.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, სტუ, თბილისი, 2013(3), 76-81 გვ. ISSN 2233-3266

2.ქალის მიერ შექმნილი მშვენიერება

თინათინ ჩიგოგიძე, არქიტექტურის დოქტორი,ნინო ხაბეიშვილი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

არსებობს გენდერული სტერეოტიპები – ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და ფუნქციებზე. გენდერული სტერეოტიპები მიგვითითებს იმაზე, რომ მამაკაცი აზროვნებს ლოგიკაზე დაყრდნობით, სწრაფად და ეფექტურად იღებს გადაწყვეტლებებს, არის ნიჭიერი, შემოქმედებითი, შეუძლია პრობლემის არსის დანახვა და არ წვრილმანდება დეტალებზე, ხოლო ქალს არ შეუძლია წარმატებით მართოს და უხელმძღვანელოს დიდ საქმეს, ის მხოლოდ წვრილმანი, ყოველდღიური საქმის კარგი შემსრულებელია, მაგრამ არა შემოქმედი, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები მამაკაცისას ჩამოუვიარდება. ამ სტერეოტიპების მიუხედავად მსოფლიოში მუდამ არსებობდნენ ისეთი ქალები, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ამა თუ იმ სფეროს განვითარებაში. ასე მაგალითად, დიზაინის არენაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა უნიჭიერესი, საკუთარი ხელწერის მქონე ქალბატონები.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "მსოფლიო და გენდერი". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2013 წ.

3. „ტრადიციის გააზრება თანამედროვე იაპონელი არქიტექტორების შემოქმედებაში“,

მ.დავითაია, ს.გაბადაძე

რეზიუმე

გლობალიზაციის პროცესში, დღევანდელი დღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, არა მარტო არქიტექტურაში არამედ სხვა სფეროებშიც ეს არის ტრადიციისა და თანამედროვეობის დამოკიდებულება. ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის მიდგომის საკითხი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში, ეპოქებში, მას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად წყვეტენ. სტატიაში განხილულია და მოყვანილია ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები, იაპონელი არქიტექტორების პრაქტიკული და თეორიული ნამშევრების მაგალითზე: კენგო კუმა, კიშო კუროკავა, ტერინობუ ფუჯიმორი, შიგერუ ბანი, ტადაო ანდო.

სტუ-ს ჟურნალი „განათლება“ N 2(8), გვ.220-226, თბ. 2013წ.

4. „თანამედროვე იაპონელი არქიტექტორები არქიტექტურაზე“,

მ.დავითაია

რეზიუმე

სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურაში მოდერნიზმის დამკვიდრებამ განსხვავებულის, განსაკუთრებულის შენარჩუნებისა და განვითარების გზების ძიება სულ უფრო აქტუალური გახადა. ეს პრობლემა შეეხო ისეთ ქვეყნებს, რომელთა არქიტექტურა ტრადიციულ ფესვებს ეფუძნებოდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება იაპონიაც, რომლის არქიტექტურა არ ვითარდებოდა იზოლირებულად. ის მუდამ საზრდოობდა სხვა კულტურების საუკეთესო მიღწევებით, ამუშავებდა და უხამებდა საკუთარ კლიმატურ, ისტორიულ თუ კულტურულ თავისებურებებს. სტატიაში განხილულია ეტაპობრივად იაპონიის არქიტექტურაში მიმდინარე პროცესები ადრეული პერიოდიდან დღემდე და გაზიარებულია დღეს იაპონიაში მოღვაწე ცნობილი არქიტექტორების გამოცდილება მათი მოსაზრებების ფონზე.

ოქტომბერი, თბ.2013 წ. ელექტრონული ჟურნალი „Art-ექსპრესი", N1, ზაზა დარასელის ჟურნალისტიკის განვითარებისა და ხელშეწყობის საქველმოქმედო ფონდი „სიცოცხლე მშვენიერია" ლიბ-ჯისთვის ხელოვნებისა და კულტურის თანამედროვე ტენდენციებზე გვ.11-18.

5. „სვანეთის არქიტექტურის სპეციფიკა",

მ.დავითაია, გ.კვესაძე

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის, სვანეთის, არქიტექტურის სპეციფიკა. ტრადიციული არქიტექტურის ძირითადი მომენტები - საცხოვრებელი სახლების, კოშკების არქიტექტურულ-კომპოზიციური თავისებურებანი და დასახლებები უშგული, ჩაჟაში. განხილულია ბოლო წლებში ჩატარებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ.მესტიაში, აქ ჩატარებული სამუშაოების დადებითი და უარყოფითი მხარეები

სტუ-ს ჟურნალი „განათლება" N 3, გვ.200-204, თბ. 2013 წ.

6. მსოფლიოს პოსტინდუსტრიული ქალაქები.

მ.მილაშვილი, ვ.მჭედლიშვილი;

ანოტაცია: სტატიაში განხილულია მსოფლიოში არსებული ცნობილი პოსტინდუსტრიული ქალაქების გაჩენის ძირითადი ფაქტორები, მათი დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

სტუ. განათლება. #1(7), თბ.2013წ. გვ.218-222;

7.უცხოეთის არქიტექტურულ სკოლებში არქიტექტურული პროპედევტიკის ფორმირების ტენდენციები XX საუკუნის მეორე ნახევარში

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა არქიტექტურულ სკოლებში დანერგილი არქიტექტურული პროპედევტიკის მრავალფეროვანი მეთოდოლოგიების ანალიზი.

არქიტექტურული პროპედევტიკის ფუნქციონირების წლების განმავლობაში დაგროვილია წარმატებული მეთოდური მიგნებების მთელი არსენალი, რომლებიც დაკავშირებულია მათი შემქმნელების სახელებთან. დღეს ისინი ქმნიან პროპედევტიკის შინაარსობრივ სასწავლო ბაზას, რომლის გამოყენების მიზანშეწონილობაზე მეტყველებს არქიტექტურული სკოლის განვითარების გამოცდილება.

სტუ განათლება №2(8) 2013 გვ. 256 -261

8.არქიტექტურული კომპოზიციის სწავლების არსებული მეთოდოლოგიის შეფასება სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე სპეციალურად შედგენილი კითხვარის საფუძველზე ჩატარებული იყო კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებმა და მაგისტრანტებმა, სულ 137–მა რესპოდენტმა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე არქიტექტურული კომპოზიციის სწავლების მეთოდოლოგია ძირითადად თანხვდება მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სტუდენტთა აზრით ამ საგნის სწავლება მათთვის მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლოა, ხოლო სწავლების პრინციპები – მისაღები.

სტუ განათლება #2(8) 2013 გვ. 251 - 256

9. არქიტექტურული პროპედევტიკის ფსიქო-პედაგოგიური საფუძვლები

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია არქიტექტურული პროპედევტიკის ფსიქო-პედაგოგიური საფუძვლები. გამოვლენილია პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ცნებების გათვალისწინების აუცილებლობა სასწავლო პროცესში, ვინაიდან ისინი პიროვნების ფსიქიკურ განსაკუთრებულობას, კულტურათა ტრანსლირებას და სტუდენტსა და პედაგოგს შორის ურთიერთობას ეხება. ამასთანავე ნაჩვენებია, რომ მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი პიროვნების პროფესიული მონაცემების და მისი კულტურის ფორმირებაში.

სტუ განათლება #1(7) 2013, გვ 208 – 213

10.მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კავშირი არქიტექტურულ გეგმარებასთან, როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა

ვანდა მუჯირი, არქიტექტურის დოქტორი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მოცულობით-სივრცითი კომპოზიციის კავშირი არქიტექტურულ გეგმარებასთან, როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა. ანალიზის შედეგად გამოვლენილია ამ ორი დისციპლინის პარალელური სწავლების მიზანშეწონილობა

სტუ განათლება #1 (7) 2013, 213 -218

11.ორნამენტი - ჩუქურთმა, როგორც იდენტიფიცირების საშუალება

დოქტორი არჩილ ქურდიანი, არქიტექტურის დოქტორი მედეა მელქაძე

რეზუმე

ჩვენი სტატიის მიზანია ორნამენტის სისტემატიზაცია, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებისა. და ამავე დროს მოვახდინოთ მოკლე მიმოხილვა საერთაშორისო მაგალითებისა, რაც შექმნის საფუძველს გაგაგრძელოთ მუშაობა მოცემულ თემაზე, სხვა ქვეყნების როგორიცაა: ეგვიპტე, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი და ბიზანტია - კონტექსტში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიგანათლება N1 (7) თბილისი2013

12.არქიტექტურული გარემო - იდეალი და რეალობა

არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი: მედეა მელქაძე, მაგისტრი: მაია ჩხაიძე

რეზიუმე

ჩვენ სტატიაში ვსაუბრობთ, არის თუ არა იდეალური არქიტექტურული გარემო. თუ არსებობს, მაშინ სად და როდის. ორივე საწყისის ანალიზმა დროსა და სივრცესში შეიძლება მოგვცეს თანამედროვე არქიტექტურული აზროვნების განვითარების ვექტორები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიგანათლება N1 (7) თბილისი2013

13.თანამედროვე სტადიონების პრობლემები

დოქტორი არჩილ ქურდიანი, არქიტექტურის დოქტორი მედეა მელქაძე

რეზუმე

მოცემულ სტატიაში გვაქვს საუბარი ორ პრობლემაზე, რომელიც გვხვდება სტადიონებზე: 1) ხედვის მრუდე; 2) გულშემატკივართა აგრესია. პირველ პრობლემას აქვს ორიგინალური სამამულო გადაწყვეტა. მეორე პრობლემა კი - გულშემატკივართა აგრესია - გახლავთ ფსიქოლოგიის სფერო, რაც ჩვენი კვლევის საფუძველზე თავს იჩენს არქიტექტურულ - კონსტრუქციულ ნორმატივებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიგანათლება N2 (8) თბილისი2013

14.განწყობის როლი არქიტექტურაში

არქიტექტურის დოქტორი მედეა მელქაძე, დოქტორანტი არჩილ ქურდიანი

რეზიუმე

ადამიანი და გარემო, ადამიანი, როგორც ინდივიდი და პიროვნება, მისი სურვილები და განწყობა - საინტერესოა ყოველი ზემოთქმული, როგორ აისახება არქიტექტურაზე. ცნობილია, რომ არქიტექტურა არის სივრცის ორგანიზაციის ხელოვნება. მაგრამ თვით სივრცის ორგანიზატორი - ადამიანი - თვითონ რა ფენომენს წარმოადგენს? ვიცით ჩვენ რა განაპირობებს ადამიანის ქცევას? აი ის კითხვები, რომლებზეც ჩვენ შევეცდებით პასუხის გაცემას. დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“ გვაძლევს საშუალებას მის კონტექსტში დასმული პრობლემის გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, განათლება N3 (9) თბილისი2013

15 „არქიტექტურული კონტექსტი“;

ნინო იმნაძე; დიანა რეხვიაშვილი;

ანოტაცია

სტატიაში განხილულია არქიტექტურული კონტექსტის პოზიტიური მხარეები არქიტექტურული ობიექტის და გარემოს ურთიერთობების მიმართ პროფესიონალების წარმოდგენების ანალიზის საფუძველზე. გამოვლინდა, რომ თანამედროვე არქიტეტურის დიალოგი – კონტექსტი გარემოსთან, კულტურასთან, ტრადიციასთან წარმოადგენს მნიშვნელოვან პერსპექტივას არქიტექტურული პროცესის განვითარებისთვის, გაამდიდრებს არქიტექტურას ახალი ფორმადწარმოქმნელი და რიტორიკული შესაძლებლობებით და ხელს შეუწყობს არქიტექტურული ენის ინდივიდუალიზაციას.

სტუ; „განათლება“ 2013 #1(7); გვ.194-198.

16. **ინტერიერის გამწვანების თანამედროვე ტენდენციების მიმოხილვა**

ნ.ქოჩლაძე

რეზიუმე

თანამედროვე ადამიანი მოწყვეტილია ცოცხალ ბუნებას და ამიტომ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ სივრცეებში ცოცხალი ოაზისების შექმნის გზით მოითხოვს ამ დანაკლისის შევსებას. ინტერიერის თანამედროვე გამწვანების ტენდენციებს შეიძლება მივაკუთვნოთ ფლორარიუმი, პალიუდარიუმი და ფიტოკედელი, რომელნიც მაქსიმალური დეკორატიული ეფექტით და მინიმალური მოვლით ხასიათდება. განსაკუთრებით საინტერესოა ფიტოკედელი, რომლის ერთადერთი მაგალითი საქართველოში არის ავლაბრის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე. Eეს ინოვაცია ინტერიერში ვიზუალური ეფექტისა და დიზაინის ფუნქციური ელემენტის როლის გარდა მნიშვნელოვანია ეკოლოგიური სისუფთავის შენარჩუნების კუთხითაც. Fფიტოკედლის კომპოზიციაში შეიძლება მიზანმიმართულად შეირჩეს სხვადასხვა თვისებების მქონე მცენარეები, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ინტერიერის მიკროკლიმატს.

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა” N1(28), თბილისი 2013წ. გვ.147-149

17.ბიოკლიმატური პრინციპები თანამედროვე არქიტექტურაში – საზღვარგარეთის გამოცდილება

ბ. თინიკაშვილი, მ.ჯავახიშვილი

რეზიუმე

საპროექტო მეთოდოლოგიის თვალთახედვით ბიოკლიმატური მიდგომა განსაზღვრულია, როგორც სახლის დაპროექტების კრიტერიუმის წყარო. ადგილი, გარემო და ორიენტაცია განსაზღვრავს თუ როგორ უზრუნველვყოთ უკეთესი დაცვა და ბუნებრივი პირობების (მზის, ქარის და სითბოს წყაროების) გამოყენება. რის დასტურათაც სტატიაში წარმოჩენილია თანამედროვე ბიოკლიმატური საცხოვრებელი სახლები ყველა ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებისა და ეკო-არქიტექტურის პრინციპების გამოყენებით საზღვარგარეთის პრაქტიკიდან.

სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ N4(31) 2013 წ.